

თელავში, ბატონის ციხეზე განხორციელებული და მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოების დროს დაშვებული მეთოდოლოგიური და კანონდარღვევები

2012 წელს თელავში ბატონის ციხეზე დაიგეგმა მასშტაბური სარეაბილიტაციო სამუშაოები.

თელავში, ბატონის ციხე. სასახლე (სახლენოდება სახელმწიფო რეესტრში) წარმოადგენს კომპლექსურ ძეგლს, რაც განსაზღვრულია საქართველოს კანონით კულტურული მემკვიდრეობის შესახებ:

თავი I კანონის მიზანი, მოქმედების სფერო და კანონში გამოყენებული ტერმინები ი.ბ) კომპლექსური ძეგლი – ფიზიკურად, ფუნქციურად, ისტორიულად ან ტერიტორიულად დაკავშირებული კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების ერთობლიობა, რომელიც ტოპოგრაფიულად იდენტიფიცირებადი ერთეულია და რომელსაც ამ კანონით დადგენილი წესით მიენიჭა ძეგლის სტატუსი; იგივე კანონი განმარტავს, რომ კომპლექსურ ძეგლს უნდა გააჩნდეს კონსერვაციის გეგმა. „მუხლი 27. კომპლექსური ძეგლის კონსერვაციის გეგმა

- 1. კომპლექსური ძეგლის დაცვის, მასზე სარეაბილიტაციო სამუშაოთა რეგულირების, ძეგლის გამოყენებისა და განვითარების უზრუნველყოფის მიზნით სამინისტრო უფლებამოსილია შეიმუშაოს კომპლექსური ძეგლის კონსერვაციის გეგმა (შემდგომში – კონსერვაციის გეგმა), რომელიც ძეგლის რეაბილიტაციისა და განვითარების ერთიანი სახელმძღვანელო დოკუმენტია.*
- 2. კონსერვაციის გეგმა არის მინისტრის ნორმატიული აქტი, რომელიც მოიცავს ძეგლზე ჩასატარებელ სამუშაოთა სამეცნიერო-მეთოდურ და პრაქტიკულ მითითებებს, განსაზღვრავს კომპლექსური ძეგლის შემადგენელ ყოველ ობიექტზე დასაშვებ ან რეკომენდებულ სამუშაოთა ნუსხას და ფარგლებს, მათი ჩატარების თანმიმდევრობის მითითებით, აღდგენს ძეგლის კვლევის, რეაბილიტაციისა და განვითარების ძირითად რეგლამენტს, მისი მოვლა-პატრონობისა და გამოყენების ინდივიდუალურ წესებს.*
- 3. კონსერვაციის გეგმის მოთხოვნათა გათვალისწინება სავალდებულოა ძეგლთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტების მიღებისას.“*

ბატონის ციხეზე სარეაბილიტაციო ქმედებები ისე დაიგეგმა, რომ ასეთი მეთოდოლოგიური დოკუმენტი არ დამუშავებულა.

ბატონის ციხის კომპლექსის ერთ-ერთ ძეგლს, ყოფილი წმ. ნინოს საწავლებელს, სადაც მუზეუმი იყო განთავსებული კულტურის მინისტრის ბრძანებით (N03/05) 25.04.12 მოეხსნა სტატუსი. ბრძანებაში მითითებულია სააგენტოს დეპარტამენტის დასკვნა, მაშინ როცა კანონი განსაზღვრავს, რომ ასეთი გადაწყვეტილება მხოლოდ საბჭოს დასკვნის საფუძველზე შეიძლება იყოს მიღებული. *მუხლი 17. ძეგლისათვის ძეგლის სტატუსის მოხსნა (21.11.2008 N 528)*

ძეგლისათვის ძეგლის სტატუსის მოხსნა შესაძლებელია მხოლოდ საბჭოს შესაბამისი დასკვნის საფუძველზე (გარდა ამ კანონის V1 თავით გათვალისწინებული შემთხვევებისა), იმ შემთხვევაში, თუ იგი განადგურდა ან ისე დაზიანდა, რომ დაკარგა ისტორიული ან კულტურული ღირებულება, რომლის აღდგენა შეუძლებელია, ან, მეცნიერული (მეთოდოლოგიური) კრიტერიუმებით, დაკარგა ის ძირითადი მახასიათებელი, რომლის გამოც მას მიენიჭა ძეგლის სტატუსი.

კანონის იგივე მუხლი განმარტავს, თუ რა შემთხვევაში შეიძლება ეს მოხდეს (იხ. ზემოთ). 14 დეკემბერს სამინისტროში შემდგარ შეხვედრაზე ითქვა, რომ სააგენტოს დასკვნა ძეგლის ფიზიკურ მდგომარეობას ეფუძნებოდა, ხოლო სააგენტოს ღირებურობთან ინტერვიუდან კახეთის (<http://kakhetinews.ge/en/home/latest-news/main-theme/erekles-sasaxle-imdenjer-moizila-da-amobrunda-rom-aq-sizvele-sazebaria>) მედიასთან იგი ძირითადად ძეგლის, როგორც მემორიალური ფასეულობის ნაკლოვანებაზე საუბრობს და შენობის მუზეუმისთვის გამოუსადეგარობაზე. არცერთი არ შეიძლება გამხდარიყო ნაგებობისთვის სტატუსის მოხსნის საფუძველი. ეს გადაწყვეტილება მართებულიც, რომ ყოფილიყო, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მეთოდოლოგია მოითხოვს თუდაც ყოფილი ძეგლის განადგურების წინ მოხდეს მისი დეტალური ფოტო და გრაფიკული ფიქსაცია, რაც არ განხორციელებულა. ყოფლი მუზეუმის შენობაზე არ შესრულებულა ისტორიული და სახელოვნებათმცოდნეო კვლევა, რაც ასევე აუცილებელია ძეგლზე ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისთვის.

იაშვილის სახ. გალერეის შენობა და ყოფილი სახაზინო სახლი დაინგრა ივლისში და მათ სტატუსი მოეხსნათ (ბრძ. N 03/51) 31 ქვესტოს. (თუმცა რეესტრში მხოლოდ სახაზინო სახლისთვის სტატუსის მოხსნა დაფიქსირებული). ახალი მუზეუმის საპროექტო ჯგუფის მხრიდან განმარტებული (14.12.12 კულტურის სამინისტროში შეხვედრა) იყო, რომ მათ გალერეის რეზილიტაციაზე და ადაპტაციაზე აქვთ ხელშეკრულება დადებული საქართველოს განვითარების მუნიციპალურ ფონდთან. ასევე მათ მოგვანოდეს ინფორმაცია, რომ გალერეის შენობა შემთხვევით დაინგრა მიწის სამუშაოებისა და გამაგრებითი სამუშაოებისას. კანონის თანახმად ძეგლზე სამუშაოების საფუძველი უნდა იყოს პროექტი, რომელიც ეფუძნება წინა საპროექტო კვლევას, მათ შორის საინჟინრო და გეოლოგიურ კვლევას.

მუხლი 49. ძეგლზე სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შემადგენლობა

1. მოძრავი ძეგლის, ასევე უძრავი ძეგლის გადაადგილებადი ფრაგმენტის (გარდა პალეოგრაფიული და მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლებისა) კვლევითი და სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტი შედგება შემდეგი ნაწილებისაგან:

ა) განმარტებითი ბარათი (პრობლემის დეტალური აღწერა და მისი გადაჭრის გზების განსაზღვრა, შერჩეული მეთოდოლოგიის დასაბუთება);

ბ) ძეგლის არსებული მდგომარეობის ფიქსაცია, მათ შორის, ფოტო- და ვიზუალური აღწერის მასალები, შესაბამისი ანალიზები;

გ) სამუშაო გეგმა, მისი დასაბუთება, პროცესის თანმიმდევრობის ჩვენებით; სამუშაოების ჩატარების კალენდარული გრაფიკი;

დ) მოსალოდნელი შედეგების აღწერა.

2. უძრავი ძეგლის კვლევითი სამუშაოების პროექტი შედგება შემდეგი ნაწილებისაგან:

ა) განმარტებითი ბარათი. განმარტებით ბარათში დასაბუთებული უნდა იყოს კვლევის მიზნით ძეგლზე ფიზიკური შემოწმების აუცილებლობა და კვლევითი სამუშაოების შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებთან. განმარტებით ბარათში უნდა მიეთითოს:

ა.ა) ძეგლის ზუსტი დასახელება, მისი ადგილმდებარეობის დასახელება და ზუსტი მისამართი;

ა.ბ) სამუშაოთა სახეობები და მოცულობა, შერჩეული მეთოდოლოგია;

ა.გ) კომპლექსური ძველის შემთხვევაში, როდესაც არსებობს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დამტკიცებული კონსერვაციის გეგმა, ხოლო პროექტი მხოლოდ მისი ფრაგმენტის შესწავლას ითვალისწინებს, – სამუშაოების კონსერვაციის გეგმასთან შესაბამისობა;

ბ) საპროექტო ობიექტის ადგილმდებარეობის სიტუაციური გეგმა (მასშტაბი 1:1000 ან 1:2000), ადგილმდებარეობის განმსაზღვრელი გლობალური თანამგზავრული სისტემით განსაზღვრული კოორდინატებით (შემდგომში – GPS კოორდინატები);

გ) საპროექტო ობიექტის საერთო ხედების ამსახველი უახლესი ფოტო-მასალა;

დ) სამუშაო გეგმა, მისი დასაბუთება, პროცესის თანმიმდევრობის ჩვენებით; სამუშაოების ჩატარების კალენდარული გრაფიკი;

ე) მოსალოდნელი შედეგების აღწერა.

3. უძრავი ძველის სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტი უნდა შემუშავდეს კვლევითი სამუშაოების საფუძველზე. იგი, გარდა ამ მუხლის მე-4 პუნქტში მითითებული შემთხვევისა, შედგება შემდეგი ნაწილებისაგან:

ა) განმარტებითი ბარათი (პრობლემის დეტალური აღწერა და მისი გადაჭრის გზების განსაზღვრა, შერჩეული მეთოდოლოგიის დასაბუთება);

ბ) საპროექტო ობიექტის ადგილმდებარეობის სიტუაციური გეგმა (მასშტაბი 1:1000 ან 1:2000);

გ) საპროექტო ობიექტისა და მისი საერთო ხედების ამსახველი ფოტომასალა, საპროექტო ნაწილის განშლა მიმდებარე ნაგებობებთან ერთად, დაზიანების არსებობის შემთხვევაში – ლოკალური დაზიანების ამსახველი ფოტომასალა, საარქივო ფოტომასალა, პროექტით ვათვალისწინებული სამუშაოების ჩატარების ფოტომონტაჟი;

დ) ძველის ანაზომები (კროკები, გამოხაზული ნახაზები (მასშტაბი 1:100, 1:50));

ე) სახელოვნებათმცოდნეო კვლევის შედეგები (ბიბლიოგრაფიული კვლევის ანალიზი, ნატურაში კვლევის ანალიზი, შესწავლილი ბიბლიოგრაფიული და საარქივო მასალის ჩამონათვალი);

ვ) კვლევითი სამუშაოებისას არქეოლოგიური კვლევის ჩატარების შემთხვევაში – არქეოლოგიური კვლევის შედეგები (საკვლევი ტერიტორიის კვადრატებად დაყოფის სქემა, არქეოლოგიური კვლევისას გამოვლენილი ძეგლების განლაგების სქემა და ანაზომი, შურფების განლაგების სქემა, დადასტურებული არქეოლოგის მიერ ხელმოწერით, კროკები, გამოხაზული ნახაზები (მასშტაბი 1:25, 1:20), ტექსტური აღწერილობა, არქეოლოგიური კვლევის შედეგების ანგარიში);

ზ) საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა (შურფების განლაგების სქემა, დადასტურებული არქეოლოგის ხელმოწერით, ლაბორატორიული ანალიზი, ლითოგრაფიული ჭრილები და რეკომენდაციები);

თ) არსებული სამშენებლო მასალების ბიოქიმიური ანალიზი (აღებული სინჯების განლაგების სქემა, ლაბორატორიული ანალიზი და რეკომენდაციები), კვლევა სამუშაოებისას გამოსაყენებელი მასალის ძველზე არსებულ მასალასთან თავსებადობის შესახებ;

ი) მონღირების შემთხვევაში – მონდაჟების განლაგების სქემა, კროკები, გამოხაზული ნახაზები (მასშტაბი 1:25, 1:20) და ტექსტური აღწერილობა;

კ) არქიტექტურული დეტალების განლაგების სქემები, კროკები, გამოხაზული ნახაზები (მასშტაბი 1:25, 1:20) და ტექსტური აღწერილობა;

ლ) კონსტრუქციული დეტალების განლაგების სქემა, კროკები, გამოხაზული ნახაზები (მასშტაბი 1:25, 1:20) და ტექსტური აღწერილობა;

მ) სადემონსტრაციო მასალა (გეგმები, ფასადები, ჭრილები (მასშტაბი 1:50, 1:100, 1:200), ფრაგმენტები და დეტალები (მასშტაბი 1:20, 1:10)), ფოტომონტაჟი და პროექტის დასაბუთება;

ნ) სამუშაო პროექტი (არქიტექტურული სამუშაო ნახაზები, შაბლონები (მასშტაბი 1:100, 1:50, 1:1), კონსტრუქციული მუშა ნახაზები და გაანგარიშებები);

ო) სამუშაო გეგმა, მისი დასაბუთება, პროცესის თანმიმდევრობის ჩვენებით; სამუშაოების ჩატარების კალენდარული გრაფიკი;

პ) სამუშაოთა ჩატარების ორგანიზების პროექტი;

უ) მოსალოდნელი შედეგების აღწერა.

უცნობია ეს აუცილებელი დოკუმენტაცია ჰქონდა თუ არა ბატონის ციხის გალაგნის რეტავრაციის პროექტს, რომელიც ამავე სარეაბილიტაციო პროგრამის ფარგლებში განხორციელდა საგენტოს მიერ, მაგრამ ცნობილია, რომ პროექტი მხოლოდ ორიოდ კვირის წინ გავიდა საბჭოზე განსახილველად, (წყარო: ცივინო ჩხუნაშვილი, რომელმაც ოქმში დაათვისირა ეს ფაქტი) მაშინ როცა სამუშაოები უკვე დასრულებული იყო. შესაბამისად ან ნებართვა გაიცა უკანონოდ ან სამუშაოები უკანონოდ განხორციელდა. საჭიროა გადაიხედოს საპროექტო მასალები და ჩატარებული სამუშაოების ანგარიშები, რათა დადგინდეს რაიმე ზიანი ხომ არ მიაღდა ძეგლს.

მუზეუმის ტერიტორიაზე ამჟამად მიმდინარეობს ახალი მუზეუმის შენობის მშენებლობა. საპროექტო ჯგუფი, რომელიც ახალი მუზეუმის შენობის პროექტირებაზე მუშაობს, აცხადებს, რომ მათ მუზეუმის შენობის რამდენიმე ვარიანტი აქვთ და რომ არ იცის დამტკიცებულია თუ არა მათი პროექტი. 14 დეკემბრის შეხვედრაზე სააგენტოს მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენლებმა დაათვისირეს, რომ ახალი მუზეუმის პროექტი ჯერ არ განხილულა სააგენტოს საბჭოზე და შესაბამისად არ შეთანხმებულა. შესაბამისად ვერ გაიცემოდა უფლება მშენებლობაზე, რაც ასევე დაადასტურეს მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენლებმა, თუმცა იქვე აღნიშნეს, რომ ამის აღკვეთისთვის არაფერი გაუკეთებიათ. საპროექტო ჯგუფმა ასევე დაადასტურა. რომ მათ არ გადასცემიათ არავითარი კვლევითი მასალა ბატონის ციხის კომპლექსის ფასეულობათა შესახებ და არც გრაფიკული მასალები, შესაბამისად მათი პროექტი ასეთ მასალებს ვერ დაეყრდნობოდა. საპროექტო ჯგუფი ასევე ადასტურებს, რომ არ გააჩნიათ მომავალი მუზეუმის კონცეფცია და მხოლოდ სიტყვიერ განმარტებებს ეყრდნობიან, რაც გზა და გზა იცვლება. ისინი არ ფლობენ ინფორმაცი ხორციელდება, თუ არა არქეოლოგიური ზედამხედველობა მიწის სამუშაოებისას, მაშინ როცა ჩვენს ხელთ არსებული ფოტო მასალა ადასტურებს, რომ ახალი მუზეუმის საძირკვლის მოწყობისას საკმაოდ ღმა და მასშტაბური სამუშაოები ჩატარდა და გაშიშვლებული იყო გალაგნის საძირკვეი.

ანაზომები და კვლევითი ნაწილი არ გააჩნდა ასევე, მეორე საპროექტო ჯგუფს, რომელიც სააგენტოს დაკვეთით სასახლის ადაპტაციის პროექტზე მუშაობს. შესაბამისად ასეთი დოკუმენტაციის შექმნაზე არავის უზრუნია. საპროექტო ჯგუფს სააგენტომ მიანოდა მხოლოდ ესკიზური პროექტის გრაფიკული დიზაინის ალბომი, სადაც არც საარქივო მასალა, არც კვლევა და არც იდენის დასაბუთება არ არის, უფრო მეტიც ალბომი არც შტამპს არც ავტორის მონაცემს არ შეიცავს.

დასკვნა:

აუცილებელი შეჩერდეს სამუშაოები ბატონის ციხეზე, მანამ სანამ არ დამუშავდება კანონითა და დარგის მეთოდოლოგიით გათვალისწინებული ყველა კვლევითი სამუშაო, მათ შორის ისეთი ელემენტარული, როგორცაა ძეგლის სრული ფოტო და გრაფიკული ფიქსაცია, კონსერვაციის გეგმა, საარქივო, ისტორიული, სახელოვანობათმცოდნეო, საინჟინრო გეოლოგიური და ა.შ. კვლევები. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება დაიგეგმოს ჩარევის მეთოდოლოგია.

აუცილებელია: სამუშაოების შეწყვეტისთვის ზუსტად განისაზღვროს უსაფრთხოების ზომები მთლიანად ძეგლის ტერიტორიაზე: კონსტრუქციული უსაფრთხოება, გახსნილი ძეგლის შეფუთვა, ღრობითი გამაგრებები და აშ.

არქიტექტორ-რესტავატორს ზალიკო მეღვინეთუხუცესს უნდა მიეცეს საშუალება, რომ მის ხელთ არსებული კვლევითი და საარქივო დოკუმენტაციას მისცეს კვლევითი პროდუქციის სახე რასაც თან დაურთავს სასახლის რესტავრაციის პროექტს, რომელიც ასევე დასამუშავებელია გახორციელებამდე და კანონით განსაზღვრული და დასამტკიცებელი.

ნატო ცინცაბაძე

რეგიონალური თანამშრომლობა კულტურული მემკვიდრეობის განვითარებისათვის

11 იანვარი, 2013